ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №174

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული"-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ჩ" ქვეპუნქტისა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის 44-ე, 45-ე მუხლების შესაბამისად:

1. დაფუძნებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული"'.

2. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული"'-ს წესდება თანახმად დანართისა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული”-ს
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული” არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა(ა)იპ, რომელიც ამ წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსებით დამოუკიდებლად ეწევა კულტურულ და საგანმანათლებლო-შემოქმედებით საქმიანობას.

2. ეს წესდება ადგენს ა(ა)იპ – ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული”-ს მიერ კულტურულ და საგანმანათლებლო – შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პირობებს, მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე ანსამბლის სტატუსს, მისი საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

3. ანსამბლის სახელწოდებაა “არასამეწარმეო იურიდიული პირი ა(ა)ი ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული” (შემდგომში ანსამბლი).

4. ანსამბლს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, ბლანკი, სახაზინო და საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. ანსამბლი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

6. ანსამბლის იურიდიული მისამართია: ქ.ქობულეთი. ლესელიძის ქუჩა №1.
ა) ფაქტობრივი მისამართია: ქ.ქობულეთი. ლესელიძის ქუჩა №1.
ბ) ელექტრონული ფოსტა: **MXEDRULI@Yahoo.com**
7. დამფუძნებლის მისამართია: ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.
ა) ელექტრონული ფოსტა: **kobsakrebulo@gmail.com**
8. ანსამბლის საქმიანობის სამართლებლივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, განათლებისა და ხელოვნების სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „კულტურის შესახებ” საქართველოს კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, ასევე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და წინამდებარე წესდება.
9. ანსამბლი თავის ფუნქციებში ავტონომიურია, რაც ნიშნავს ანსამბლის თავისუფლებას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ კომპეტენციათა ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს კულტურული, საგანმანათლებლო – შემოქმედებითი, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა.

10. ანსამბლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ წესდების საფუძველზე უფლებამოსილია გამოიყენოს და დამოუკიდებლად განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის გამგებლობას მიკუთვნებული მართვისა და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ კომპეტენციათა ფარგლებში.

მუხლი 2. ანსამბლის მიზნები და ძირითადი საქმიანობა

1. ანსამბლის მიზნებია:

ა) ხალხური სიმღერისა და ცეკვის კულტურულ და საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

ბ) ინდივიდუალური ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისი საუკეთესო განათლების მიღების, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ქართული ხალხური მუსიკალური და ცეკვის ხელოვნების ისტორიული და თანამედროვე გამოცდილების საფუძველზე სამეცნიერო კვლევის განხორციელება;

გ) ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ხელოვნების ღირებულებების შეცნობა/დამკვიდრება;

დ) შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მუსიკოს – შემსრულებელების, მოცეკვავეების, ქართული მუსიკის მკვლევარების მომზადება, ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის პროფესიული და სამუსიკო და საცეკვაო განათლების შეთავაზება;

ე) ქვეყანაში ქართული მუსიკალური და საცეკვაო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი სამუსიკო და საცეკვაო განათლების სისტემის სიცოცხლის უნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი შემოქმედებით-საშემსრულებლო და პედაგოგიურ-სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ განხორციელებაზე ზრუნვა;

ვ) ანსამბლის წევრები და პედაგოგიური პერსონალის მობილობის წახალისება და ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელთა სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, საქართველოს კანონმდებლობითა და ანსამბლის მიერ დადგენილი წესით.

2. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მის საფუძველზე ანსამბლი უზრუნველყოფს:

ა) უმაღლესი ხარისხის მუსიკოსი და საცეკვაო ხელოვნების მიღების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს: შემოქმედებითი საქმიანობის და თავისუფლებას, რაც ნიშნავს პედაგოგიური პერსონალისა და ანსამბლის წევრთა უფლებას დამოუკიდებლად განახორციელონ შემოქმედებითი საქმიანობა, სწავლება და სწავლა სემოქმედებითი პროგრამების ფარგლებში და მათი განვითარების მიზნით.

ბ) უმაღლესი ხარისხის სამუსიკო და საცეკვაო ხელოვნების დაუფლების შესაძლებლობას მთელი არსებობის განმავლობაში.

გ) უმაღლესი სამუსიკო და საცეკვაო ხელოვნების და შემოქმედების და ინტეგრაციას;

დ) ხელოვნების დაუფლების და შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიან საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას;

ე) ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ვ) მართვისა კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობა;

ზ) სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

3. დასახული მიზნების მისაღწევად ანსამბლი:

ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს შემოქმედებით უნარებსა და თეორიულ ცოდნას, შემოქმედებითი და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას, რისთვისაც შეიმუშავებს ძირითად და დამატებით სასწავლო სახელოვნებო პროგრამებს, ორგანიზებას უკეთებს ანსამბლის წევრთა სასწავლო სახელოვნებო პრაქტიკას;

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

გ) ხელს უწყობს ანსამბლის წევრთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ანსამბლის წევრთა ხელოვნების დაუფლების პირობების შესაქმნელად;

ე) თანამშრომლობს უცხოეთის და საქართველოს სხვა მუსიკალურ და საცეკვაო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კულტურულ ცენტრებთან;

ვ) ორგანიზებას უკეთებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებს, ფესტივალებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, სემინარებს, ლექციებს, ლექცია-კონცერტებსა და მასტერკლასებს;

ზ) ემსახურება მუსიკალური და საცეკვაო კულტურის შესახებ მეცნიერების განვითარებას;
თ) ხელს უწყობს თანმედროვე, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას ხელოვნების დაუფლებასა და შემოქმედებით-სამეცნიერო მოღვაწეობისთვის;
ი) შემოქმედებით კოლექტივებს ანსამბლის წევრთა და პერსონალის ბაზაზე;
კ) უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.

4. ანსამბლში პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 3. ანსამბლის სტრუქტურა და მართვა

1. ანსამბლის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაცია;
ბ) შემოქმედებითი-პედაგოგიური განყოფილება;
გ) დამხმარე-მომსახურების განყოფილება- საშტატო ნუსხით გათვალისწინებული და ანსამბლის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირობები;
2. ანსამბლს ხელმძღვანელობს, მართავს და წარმოადგენს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით;

3. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება, სათანადო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წელი.

4. დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის და წესდების შესაბამისად;

ა) დამოუკიდებელად ხელმძღვანელობს მართავს და მესამე პირებთან წარმოადგენს ანსამბლს.
ბ) ადგენს ანსამბლის ბიუჯეტს და შესათანხმებლად წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ანსამბლის მართვის და მიზნების უზრუნველსაყოფად გამოსცემს ბრძანებებს და ხელს აწერს გარიგებებს და სხვა დოკუმენტებს.
დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით მინიჭებულ სხვა დანარჩენ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. საქმიანობის სახეები, დაფინანსების წყაროები და ქონება

1. ანსამბლმა შეიძლება შექმნას სიმღერისა და ცეკვის შემსწავლელი კურსები, განახორციელოს საკონცერტო-შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზება და გაწიოს შესაბამისი მომსახურება და ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ანსამბლის საბიუჯეტო დაფინანსება ორიენტირებულია სიმღერისა და ცეკვის სწავლასა და სამეცნიერო კვლევაზე, შემოქმედებით საქმიანობაზე. ადრების მომზადებაზე.

3. ანსამბლის დაფინანსების წყაროებია:
ა) შესაბამისი საბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;
ბ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები;
გ) შემოქმედებით-საკონცერტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
დ) ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

4. ანსამბლის მიერ მიღებული დაფინანსება და შემოსავალი, მისი წყაროს მიუხედავად, უნდა დაიხარჯოს მიზნობრივად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ანსამბლის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურუდიული და კერძო პირის მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

6. ანსამბლის მიერ უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღება ქონებისთან დაკავშირებით, შეიძლება მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით;

7. ანსამბლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ანსამბლის სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

9. ანსამბლი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტს.

10. ანსამბლის წლიურ ბალანსს ამოწმებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ან და მუნიციპალიტეტის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტი.

11. ანსამბლმა მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა გასხვისება და დატვირთვა;
ბ) თავდებობა, სესხის აღება;
გ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
დ) საჭიროების შემთხვევაში გამგეობასთან შეთანხმებით ალტერნატიული პროექტების შემუშავება და და განხორციელება;

12. ანსამბლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

13. ანსამბლის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად უბრუნდება ქობულეთის მუნიციპალიტეტს.
14. ანსამბლის წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.